ცნობის ფურცელი

№ 2501 შაბათი, 22 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2501

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში გოლოვინის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკარგა ქალის **ოქროს საათი** № 102036, ვთხოვთ საათის მოხელეებს ყურადღება მიაქციონ. **მნახველი ჯილდოთ 20 მანეთს** მიიღებს. ადრესი: შეროპანის დეპო, ნიკოლოზ გრიგოლის ძე ცინცაძე. (1—1)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ **უმაღლესის** ნებართვით გამგეობაში გაიხსნა ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაგროვებლად, რათა შემოწირულის ფულით ტფილისში ძეგლი დაედგას ღვთივ განსვენებულს დიდ მთავრინას **ოლგა თეოდორის** ასულს. (ნ. 3—3)

ვერაზე, ოლგინის ქუჩის ბოლოში **იყიდება ნაწილ-ნაწილად** **მიწა** კარგის პირობებით. მსურველთ დაწვრილებით ცნობები შეუძლიანთ გაიგონ: სასახლის ქუჩაზე მ. გ. გულისპოვთან და ოლგინის ქუჩაზე № 18 რ. დ. ფორაქოვთან. (10—6)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. **მ. ხობოლევსკი.**—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. **ქალ მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მ., ონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე·

საღამოთი:

ბ. მ. ხობოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თე.—0—87)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე. და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს. რიჟინაშვილი
იღებს დილით 9—2 საათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. (30—253—32)

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—7)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
მიიღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 10—12 ს. მიხეილის პროსპექტი ს. № 115 ნემეცების კირკის გვერდზე. (30—178—13)

რედაქციისაგან.

ვაცნობებთ ხელის მომწერთ, რომ ვისაც ჟურნალ-გაზეთის დასაკვეთათ შემოტანილი აქვს მარტო „ცნობის ფურცლისთვის“ 3 მან. და 5 ან 6 მან. „მოამბე“-„ცნობის ფურცლისთვის“ დასამატი ფული უნდა გამოგზავნონ მაისის გასვლამდის, წინაამდეგ შემთხვევაში გამოცემანი 1-ლ თიბათვიდან აღარ გაეგზავნებათ.

ამა წლის 30 მაისს „ბანკის ბაღში“ (თავად-აზნაურობის ქარვასლა) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა
საქველ-მოქმედო გაზრითურთ.

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, გაიმართება საბავშო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა და ცეკვა.

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თაყაიშვილის ასულს ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). თუ წვიმა იქნა, სეირნობა გაიმართება 5 ივნისს. (უ. 0—2)

ქართული თეატრი

კვირას, 23 მაისს, 1904 წ. დაკლებულის ფასებით ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენ. იქნება **და-ძმა** ისტ. დრამა 5 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ალექსი-მესხიშვილი; ბ-ნნი სვიმონიძე, ივანიძე, შალიკაშვილი, საფაროვი, იმედაშვილი, სარჯველაძე, ბაქრაძე, გვარაძე, ბეგლარიძე, ჩიქოვანი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე.

ადგილების ფასი დაკლებულია. მოწაფეთათვის 40 კ.

რეჟისორი ს. **ხვიმონიძე.**

(2—6.—1) გამგე **ბ. ბეგლარიძე.**

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მაისი

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის ტრეპოვის დეპეშა: „რათა ჯარის სხვა-და-სხვა ნაწილს დროზედ მიეწოდოს ის შემოწირულებანი, რომელიც გენ.-ადიუტანტის კუროპატკინის სახელზე იგზავნება, მთავარსარდალმა ბრძანება მოახდინა, ჯარის სასანიტარო ნაწილის უფროსთან შესდგეს ჩემის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული კომიტეტი. ამ კომიტეტმა უნდა მიიღოს ყოველი შემოწირულება და საჩუქარი და დაურიგოს ჯარს“.

მუკდენი, 20 მაისი (საკუთ. კორესპონდენტისაგან). მიღებულ ცნობებით, იაპონელთა იერიში, ცინჩოუს პოზიციების ასაღებად, 13 მაისს დაიწყო დილის ხუთ საათზე. იაპონელებს ჰყავდათ სამი დივიზია და ჰქონდათ 120 ზარბაზანი. იერიშის დროს იაპონელებს თავიანთ ზარბაზნებით ჰშველოდა ოთხი საკანონირო და ექვსი ნაღმიანი გემი. ბრძოლის დროს რუსის არტილერიის დიდი ნაწილი გაფუჭდა და იაპონიის ქვეითა ჯარი შეუდგა პოზიციის მარცხენა ფრთეს მოვლას. რადგან მტერი მეტად ძლიერი იყო, რუსის რაზმმა საღამოს 8 საათზე თავი მიანება პოზიციას და ნანგუანლინისკენ დაიწია. თან წაიღო მხოლოდ ის ზარბაზნები, რომელიც გაფუჭებული არ იყო. რუსებს მოუკლეს და დაუჭრეს 30 აფიცერი და 800 სალდათი. იაპონიის ზარალი ძლიერ დიდი უნდა იყოს.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“) დაგუშანიდან მოსული ჩინელები ამბობენ, რომ ამ ბოლო დროს დაგუშანში იაპონელებმა 6,000-დან 10,000-მდე კაცი გადასხესო. ეს ჯარი ფინხუანჩენისაკენ წასულა. ფინხუანჩენისაკენ სხვა ადგილებიდანაც გაუგზავნიათ ჯარი.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მისს უდიდებულესობას 19 მაისს: „ფინხუანჩენისაკენ საწყნარეა. ქალაქი საიმაძი, რომელსაც იაპონელებმა თავი მიანებეს, 18 მაისს ჩვენმა ჯარმა დაიჭირა. 18 მაისს ლაოლინის უღელტეხილზე (სიუიანის სამხრეთით, 14 ვერსის მანძილზე) ჩვენ მზვერავ რაზმებს სროლა ჰქონდათ იაპონიის რაზმთან, რომელიც შესდგებოდა ორის როტისა და ნახევარ ესკადრონისაგან. ჩვენ ერთი ყაზახი დაგვიჭრეს. ინკოუსა და გაიჯოში ცვლილება არ მომხდარა“.

ბერლინი. იაპონიის ელჩმა აცნობა გერმანიის მთავრობას: ადმირალი ტოგო აცხადებს, რომ 13 მაისიდან იაპონელებმა ალყა შემოარტყეს ლიაოდუნის ნახევარ კუნძულის მთელს ნაპირს, ბიძივოდან დაწყებული პულანდიანამდე. ალყას ჯერ-ჯერობით არ შემოხსნიანო.

პარიზი. შანჰაიდან იტყობინებიან, რომ კორეის დასავლეთ ნაპირთან გამოჩნდა იაპონიის 15 დიდი სატრანსპორტო გემი ჯარით, რომელიც, ალბად, იალუს შესართავისაკენ მიჰყავთ.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ტოკიოში ჰფიქრობენ, [illegible] მოხდება, პორტ-არტურიდან 12 მილის მანძილზეო. („რ. ს.“).

„დეილი ქრონიკლ“-ის კორესპონდენტი იუწყება: გენერალმა კუროკიმ გაიგო, რომ რუსები ძლიერ ამაგრებენ ლიაოიანსაო; დასავლეთ მხარეს სამი ფორტი ააშენეს, აღმოსავლეთ მხარეს ექვსი და სამხრეთის მხარეს ხუთი; ამ ფორტებში 26 ათასი სალდათი უდგათ. მდინარე ლიაოხეს მარცხენა ნაპირიც, ნიუჩუანსა და გაიჩოუს (გაიპინგს) შუა, ძლიერაა გამაგრებული; აქაც 15 ათასი კაცი უყენიათ რუსებსაო. („რ. ლ.“).

„დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი იუწყება: სარწმუნოდ გავიგე, ამას იქით ვლადივოსტოკი რუსის ფლოტის უმთავრეს ბაზად გადაიქცევაო. ადმირალ სკრიდლოვს 4 კარგი კრეისერი და 10 ათასი მეზღვაური ჰყავს; ამას გარდა ადმირალს რკინის გზით დაშლილი ნაღმიანი გემებიც გაუგზავნეს ვლადივოსტოკში. ადმირალი სკრიდლოვი იაპონიის ნაპირებს დაეცემა, რომ ამით იაპონიის ფლოტის ნაწილი მაინც პორტ-არტურს მოაშოროსო. („ნ.“)

„სენტრალ ნიუს“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: სარწმუნოდ გავიგე, რომ 1 რანგის კრეისერი „ბოგატირ“-ი ვლადივოსტოკს ახლო კლდეს დასჯახებია; ამ დროს კაცი არავინ დაშავებულა. კრეისერიდან ზარბაზნები სულ გადმოიღეს; იმედი აქვთ, რომ კარგ ამინდში „ბოგატირ“-ს ნავთ-სადგურში შეიყვანენ. ის-კი ტყუილია, ვითომ რუსებს იმედი გადასწყვეტოდეთ და „ბოგატირ“-ის აფეთქება უნდოდეთ. („ნ. დ.“)

„ფოსიშე ცაიტუნგ“-ი იუწყება: იაპონელებმა ჩემულპოსთან ჩაძირული რუსის კრეისერი „ვარიაგ“-ი თავის ზარბაზნებით ამოიღეს, შეაკეთებენ და იაპონიის ფლოტს მიუმატებენო. („რ. ლ.“).

„ნ. ფრ. პრესე“-ს კორესპონდენტი იუწყება: რუსეთმა მოსთხოვა ჩინეთს, გენერალმა მანჯურიის საზღვარზე ნუ დგასო. („მ. ვ.“).

ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს“-სა: ლიაოიანში ჩინელი ვაჭრები დუქნებსა ჰკეტვენ და ვაჭრობასა ჰსპობენ. ჩინელები იაპონელების მოსვლას ელიანო.

მცურავმა ნაღმებმა მთელი განათლებული ქვეყნიერობა აალაპარაკა. იაპონელები ამბობენ, ჩვენ მხოლოდ პორტ-არტურს ახლო ვაწყობთ ნაღმებს, რუსები-კი ჩინელებს ატანენ და გაშლილ ზღვაში აწყობენო. რუსები ამტკიცებენ, ჩვენ-კი არა, თითონ იაპონელები აწყობენ გაშლილ ზღვაში ნაღმებსაო. ინგლისური და ამერიკული პრესა თხოულობდა, მცურავ ნაღმების გაფანტვა და ჩაწყობა უსათუოდ უნდა აიკრძალოსო. ზოგს იმედი ჰქონდა, იქნება ამერიკის მთავრობამ ამის თაობაზე პროტესტი გამოაცხადოსო; მაგრამ ეს იმედი, ჯერ-ჯერობით მაინც, არ გამართლდა. საერთაშორისო უფლების პროფესორს ინგლისელს ლაურენსს ამის თაობაზე ლექცია წაუკითხავს. პროფესორს უთქვამს: მეომარ სახელმწიფოებს ნება არა აქვთ, გაშლილ ზღვაში ნაღმები გაფანტონ, ნეიტრალური ადგილები სამხედრო მოქმედების ასპარეზად გადააქციონ და ნეიტრალურ სახელმწიფოების გემები განსაცდელში ჩააგდონ. მაგრამ ხან-და-ხან სამხედრო მოქმედების ადგილას ჩაწყობილ ნაღმებს წყალი ჰგლეჯს და გაშლილ ნეიტრალურ ზღვაში გააქვს, ისე როგორც მტრისკენ გასროლილი ყუმბარა ხან-და-ხან მტერსა სცდება და ნეიტრალურ ადგილას ეცემა. მეომრები ამაზე პასუხს არ აგებენო. („ნ. ვ.“).

ინგლისელი პროფესორი ვილსონი ამტკიცებს, ინგლისი რუსეთს უფრო კეთილის თვალით უცქერის, ვიდრე იაპონიასაო; რუსეთმა სანოვაგე და ბამბა სამხედრო კონტრაბანდად გამოაცხადა, რუსის სამხედრო გემები ნეიტრალურ პორტებიდან გადიან და ნეიტრალურ სახელმწიფოების გემებს აჩერებენ; ინგლისი-კი ყველა ამაზე ხმას არ იღებსო. ამერიკას მცურავ ნაღმებზე პროტესტის გამოცხადება სწადიან, მაგრამ ინგლისი მხარს არ უჭერსო. ერთის სიტყვით, ვილსონი ძლიერ ჰკიცხავს ინგლისის მოქმედებას.

ამერიკის ელჩად ნამყოფმა, გენერალმა ვუტფორდმა ნიუ-იორკში ნადიმის დროს სთქვა, ეხლანდელ ომში ამერიკას იაპონიის მხარე უნდა ეჭიროს, რადგან იაპონია საყოველთაო ინტერესებისათვის იბრძვისო. („ნ. ვ.“).

გერმანელების აზრი ცინჩოუს აღებაზე. ცინჩოუს ყელის დაჭერამ მთელი ევროპა გააკვირვა, თურმე. „რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: 17 მაისი. აქაურ სამხედრო წრეების აზრით, ცინჩოუსთან მომხდარი ბრძოლა მთელი ეპოქაა (ხანაა) სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. ცინჩოუსთან ღირსეული მოპირდაპირენი შეჰხვდნენ. რუსები და იაპონელები გმირობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ცინჩოუს პოზიცია თანამედროვე ტეხნიკისა და სამხედრო ხელოვნების თანახმად იყო გამაგრებული; რუსებს ყოველნაირი საუკეთესო იარაღი ჰქონდათ იქა. გერმანელ სტრატეგებს შეუძლებლად მიაჩნდათ ასეთის მაგარის პოზიციის აღება. „კრეუც. ცაიტუნგ“-ის სამხედრო თანამშრომელი, მთავარ-შტაბის აფიცერი სწერს: ახალ გერმანელ სამხედრო სკოლას შეუძლებლად მიაჩნდა, გამაგრებულ მაღალ პოზიციების ფრონტიდან (წინიდან) შტურმით აღება, მაგრამ ცინჩოუსთან მომხდარმა ბრძოლამ მშვენივრად დაამტკიცა, რომ ასეთი შტურმი და ასეთ სიმაგის აღება შესაძლებელი ყოფილა. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი შენიშნავს: ამას იქით ცინჩოუსთან ბრძოლას კლასიკურ მაგალითად გამოიყენებენ აკადემიებში სამხედრო ხელოვნების სწავლების დროს. გასაკვირველი არაა, რომ ამნაირ შტურმის დროს იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ,—ეს აუცილებელი იყოო. კერძო, არა სამხედრო ხალხი ძრწოლით ამბობს, ამოდენა ხალხი იწირება მსხვერპლად და ნუ თუ სახელმწიფოები ხმას არ ამოიღებენ და მეომარ სახელმწიფოებს არ შეარიგებენო. ყველანი ჰფიქრობენ, ამ კვირაში მეტად დიდი ამბები მოხდებაო; პორტ-არტურის ბედი ორიოდე დღეში გადაწყდებაო.

რუსის მეზღვაურის აზრი ცინჩოუს ალებაზე. ზოგიერთი რუსული გაზეთი სწერს: ცინჩოუ ვერ იყო კარგად გამაგრებული, ამიტომ ყველამ წინადვე ვიცოდით, რომ იაპონელები მალე აიღებდნენ ამ პოზიციასაო; ეს არაფერია, საქმე პორტ-არტურის აღებააო. ზოგი გაზეთი-კი სხვა თვალით უყურებს საქმეს და ამტკიცებს, ცინჩოუს ყელი ისე იყო გამაგრებული, რომ იმის აღება შეუძლებელი იყოო. მანამ ოფიციალური ცნობა არ მოგვივა, არ დავიჯერებთ, რომ ცინჩოუს ყელი ეხლა იაპონელების ხელში იყოსო. გაზ. „პეტერბ. ვედომოსტი“-ს თანამშრომელი ამის თაობაზე შემდეგსა სწერს: „1 რანგის კაპიტანი იაკოვლევი ვნახეთ და, სხვათა შორის, ცინჩოუს პოზიციებზე გამოვკითხეთ. კაპიტანმა გვითხრა: „ეს პირველ-ხარისხოვანი სიმაგრეებია; იმათი აღება არც თუ ისე ადვილია. იაპონელები ვერც გვერდს აუქცევენ ამ პოზიციებს, რადგან ცინჩოუს ყელი მეტად ვიწროა და ყველგან რუსის ჯარი დგას. ასე რომ იაპონელებმა უსათუოდ ფრონტიდან (წინადან, პირდაპირ) უნდა მიიტანონ იერიში. მერე ნუ დაგავიწყდებათ, რომ პოზიციის დამცველთ ძლიერი ციხის ზარბაზნები აქვთ; ეს ზარბაზნები არაფრით არ დაუვარდებიან იაპონელებისას. დასასრულ, ისიც გაიხსენეთ, რა ჯართან ექნებათ იაპონელებს საქმე. ამ ჯარს თავი აქვს გადადებული: სულ გასწყდება და უკან-კი არ დაიხევს. ამას გარდა რუსის ჯარი წინადვე გამაგრდა, სანგრები გამართა, საუკეთესო პოზიციები აირჩია და მშვენივრად გაამაგრა. ამიტომ არა მჯერა, რომ იაპონელებს ეს პოზიციები დაეჭიროთ. იქნება ცინჩოუს ქალაქი-კი ჰქონდეთ აღებული. დიახ, მაგას დავიჯერებ. მაგრამ რომ ქალაქის აღების შემდეგ, მაშინვე სხვა პოზიციების დაჭერაც მოეხერხებინოთ, თქვენი არ ვიცი და მე-კი როგორღაც არა მჯერა. უცხოეთის სააგენტოები ხშირად ავრცელებენ ცრუ ცნობებს. ჩემის აზრით, ოფიციალურ ცნობებს უნდა მოვუცადოთ“.

ბრძოლა ცინჩოუსთან. „სავ.-სატელ. სააგენტო“ იუწყება: ტოკიოში 16 მაისს გენერალ ოკუსაგან ძოხსენება მოვიდა. გენერალი სწერს: ცინჩოუს შტურმის დროს ოსაკის დივიზია მარცხენა ფრთაზე იდგა, ტოკიოს დივიზია შუა ადგილას, ანაგოის დივიზია—მარჯვენა ფრთაზე. რუსებს პოზიციებზე ერთი დივიზია ქვეითა ჯარი და საველე ბატარეები ედგათ. ამას გარდა, რუსებს მეზღვაურ არტილერისტების რაზმიც ჰყავდათ. მეზღვაურები დიდ, მძიმე ზარბაზნებს ისროდნენ. რუსები ძლიერ თავდადებით იცავდნენ ნანგუანლინის პოზიციას, რადგან აქ დალნისა და პორტ-არტურის რკინის გზები ერთად იყრება, მაგრამ ბოლოს ეს პოზიციაც დავატოვებინეთ“. („რ. ს.“).

ახალი ამბავი

✦ ტფილისის თავად-აზნაურთა შეუძლებელ **მოსწავლეთა დამხმარებელ** საზოგადოების დედათა განყოფილებას ამ წლის პირველ იანვრისათვის დედათა სკოლის ასაშენებელ თანხად ჰქონია 28,322 მან. შარშან, როგორც თავის დროზე აღნიშნული გვქონდა, გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა, შემწეობა აღმოუჩინოს დედათა განყოფილებას, თუ იგი შეუდგება თავის განზრახვის განხორციელებასაო. ამის გამო ამ რამდენისამე ხნის წინად გამგე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს სამოსწავლო მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცეს შეუდგეს ქალთა სკოლის დაარსების თადარიგს. იმედი აქვთ, რომ სექტემბერში უკვე გაიხსნება მოსამზადებელი კლასები.

✦ ხვალ, 23 მაისისთვის, დანიშნულია კრება ქალთა სამკურნალო ინსტიტუტისა და უმაღლესს კურსების **ღარიბ მოსწავლეთა** დამხმარებელ საზოგადოებისა. როგორც ვუწყით, ეს საზოგადოება ეხლა არსდება ტფილისში. კრებამ უნდა აარჩიოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი, ხაზინადარი, სამი წევრი სარევიზიო კომისიისა და ნამდვილი წევრები. კრება მოხდება დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში საღამოს 8 საათზე.

✦ **17 მაისს ოზურგეთში მოხდა კრება ქალაქის რწმუნებულთა მამასახლისისა და იმის თანაშემწის ასარჩევად. მამასახლისად აარჩიეს ვასილ სოფრომის ძე ხუნდაძე,** ხოლო თანაშემწედ—ივლიანე ჯაყელი.

✦ როგორც „კავკ.“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, **ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანთა სინოდის** პროკურორი ყანჩელი თავისისავე სურვილით თანამდებობიდან გადამდგარა. იმის ნაცვლად პროკურორად დაუნიშნავთ ბ-ნი ფრენკელი.

✦ ამ რამდენისამე ხნის წინად დაარსებულ **სამეურნეო ამხანაგობის „თამარის“** წესდება დასამტკიცებლად უკვე წარედგინა სამინისტროს და დამტკიცებას დღე-დღეზე მოელიან. წელს ამხანაგობის გამგეობამ 1500 მისხალ აბრეშუმის თესლზე მეტი დაურიგა მეაბრეშუმეებს.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ გარდა იმ პირებისა, რომელნიც აღნიშნულნი არიან **„წერა-კითხვის საზოგადოების“** 1903 წ. ანგარიშში, 1903 წ. საწევრო ფული გადაიხადა კიდევ 54 წევრმა (რომელთა გვარები შეცდომით დარჩა აღუნიშნველი ანგარიშში). ამათი სია ცალკე დაიბეჭდა და დაურიგდა აგენტებს.

✦ გუშინ, 21 მაისს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მიიღო ტაგანროგიდან **შვეცია-ნორვეგიის** კონსულის წერილი. კონსული სთხოვს სამეურნეო საზოგადოებას, შეატყობინოს როგორი ბუნება და ჰავაა ჩერნომორის გუბერნიასა და ბათუმის ოლქში ნოვოროსიისკიდან მოკიდებული ბათუმამდე; გაუგზავნოს სია სხვილ მემამულეებისა და აგრეთვე აცნობოს, არის თუ არა კავკასიის ამ ადგილებში თავისუფალი სახაზინო მიწები და თუ შეიძლება საიჯაროდ მიწების აღება, რა პირობებით და რამდენის ხნით. ეს ცნობები სჭირდება თურმე ნორვეგიის ერთ მრეწველს, რომელსაც სურს იჯარით აიღოს ადგილები და თბილის ქვეყნის რომელიღაც სასარგებლო მცენარე გააშენოს.

✦ ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულომ გუშინ-წინ, 20 მაისს, დაამთავრა განხილვა იმ სიებისა, რომლებშიაც შეტანილნი არიან მიმდინარე წელს გასაწვევი ახალგაზრდანი. წელს სულ **კენჭის ამოსაღებად** გაწვეულია 621 კაცი. აქედან ქ[illegible] 570, [illegible] 30, [illegible] 5, სექტანტი—18. 362 კაცი ქართველი და სომეხია.

✦ **პეტერბურგიდან გვატყობინებენ,** სენატს უყურადღებოდ დაუტოვებია საჩივარი ხელოსანთა ამქრის მამასახლისის მანუქ არაფელოვისა. არაფელოვი უჩიოდა ტფილისის საგუბერნიო-ქალაქის საქმეთა საკრებულოს, რომელმაც არაფელოვი დასაჯა ადმინისტრატიულის წესით.

✦ დღეს, 22 მაისს, **სახალხო თეატრში,** ავჭალის ქუჩაზე, წარმოდგენილი იქნება ქ-ნ აზიანის კომედია „ფული და ხარისხი“.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, კავკასიაში საქონლის ჭირთან საბრძოლველად გამოგზავნილნი არიან ხარკოვის საბეითალო ინსტიტუტიდან ბ-ნი ვობლი, ხოლო იურევის ინსტიტუტიდან ბ-ნი ოლტი.

✦ როგორც ახალციხიდან გვატყობინებენ, დ. ჩიშხევში (იდუმლის საზოგადოებაში) გაჩენილა საქონლის ჭირი.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი კროტოვი გადაყვანილ იქმნა ასეთსავე თანამდებობაზე სტავროპოლში.

✦ როგორც „ნოვ. ობ.“ გადმოგვცემს, განზრახულია განსაკუთრებულ კლუბის დაარსება ავლაბრისა და ნავთლუხის მცხოვრებთათვის.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა გუშინ ქალაქის გამგეობას, თუმცა მიხეილის პროსპექტზე უსახელო საზოგადოებამ დაამთავრა ელექტრონის ტრამვაისთვის ლიანდაგის დაგება, მაგრამ ქუჩა ისევ მოუკირწყლელი და მანკრეულ-მონკრეულია, რის გამო მიმოსვლა გაჭირვებულია. პოლიცმეისტერმა სთხოვა გამგეობას, განკარგულება მოახდინოს ამ ქუჩის გასასუფთავებლად და მოსაკირწყლავად.

✦ საამშენებლო განყოფილებამ გუშინ ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ უსახელო საზოგადოება ტრამვაის ახალ ლიანდაგს ისე ამაღლებს ზოგიერთს ქუჩებში, რომ ნაიდვარი სწორედ ვეღარ მიდის და დაბლობებში დგება.

✦ 1903 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიაში—150 მოსწავლე ყოფილა, აქედან ქართველი—69, რუსი—50, ბერძენი—22 ოსი—3, სხვა ეროვნების—5, სასულიერო წოდების 103, გლეხი—29, მოქალაქე 7, აზნაური—3. დახარჯულა მოსწავლეებზე 71,670 მ. 82 კ. ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მოსწავლე ყოფილა 210. რუსი 34, ქართველი—134, ბერძენი—33, ასირი—3, სხვა ეროვნებისა—6. დედათა საეპარქიო სასწავლებელში მოსწავლე ყოფილა 296. რუსი—44, ქართველი—244, ბერძენი—7, სხვა ეროვნებისა—1.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „მეკვლე“, საახალწლო ამბავი გიგო ხეჩუაშვილისა. წიგნაკი ღირს ერთ შაურად.

✦ გუნიბის ქუჩის მცხოვრებლებმა გუშინ სთხოვეს ქალაქის გამგეობას მოკირწყლულ და გასწორებულ იქნეს ქალაქის ეს ნაწილი. მცხოვრებნი საყვედურს აცხადებენ, რომ ჩვენი ქუჩის გასუფთავებას ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეულიო.

✦ დუშეთის მაზრაში ამ თვეში შემდეგი ამბები მომხდარა: 1. მდინარე თერგში სოფ. სტეფანწმინდასთან უპოვნიათ დამხრჩვალ კაცის გვამი სოფ. ფხელშეს მცხოვრების ნინია ჩკარიაულისა; 2. სოფ. სეთურთკარის მცხოვრები დავით სეთურიძე სოფ. კუმისციხესთან ბილიკიდან გადავარდნილა და იქვე მომკვდარა; 3. სოფ. ახალდაბაში დღეობაზე ჩხუბი მოსვლიათ ამ სოფლის გლეხებს ბაჩუნაშვილს და დიდებაშვილს. მოჩხუბართა გასაშველებლად ხალხი მისულა. ჩხუბის დროს თოფით და რევოლვერით დაჭრილი მომკვდარა ორი კაცი ივანე და ფილო ბაჩუნაშვილი, ხოლო დაჭრილა ერთი—აბრამ ბაჩუნაშვილი; 4. სოფ. ალევის მცხოვრებთ მათე ჯამბრიშვილს, დათიკო დათუნაშვილს და ვასილ ნათაძეს ჩხუბის დროს მძიმედ დაუჭრიათ იმავე სოფლის მცხოვრები აბრო ჯამბრიშვილი; 5. ახალგორსა და ოძისს შუა სოფ. ოკამის დროებით მცხოვრებს სვიმონ თარაშვილს ხანჯლით მძიმედ დაუჭრია ამავე სოფლის მცხოვრები გიორგი მელაძე.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ კვირას, 16 მაისს, ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელმა შინაურულად იდღესასწაულა თავის დამაარსებელ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ არსებობის ოცდა-ხუთი წლის შესრულება. დღესასწაულს დაესწრნენ: ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი, ქუთაისის მაზრის წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე, ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე, სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტის წევრები, მასწავლებელნი და მოწაფეები. გადახდილ იქმნა პანაშვიდი საზოგადოების იმ დამაარსებელ წევრთა სულის მოსახსენებლად, რომელნიც ამ 25 წლის განმავლობაში გარდაცვლილან; შემდეგ გადაიხადეს პარაკლისი ცოცხალ წევრთა სადღეგრძელოდ და საზოგადოების საკეთილ-დღეოდ. მ. აბესაძემ წაუკითხა დამსწრეთ ს. თ. ხუნდაძის მიერ შედგენილი საზოგადოების 25 წლის მოღვაწეობის ანგარიში და მოკლედ გააცნო საზოგადოების მნიშვნელობა. ამის შემდეგ მოწაფეებს დაურიგდა საზოგადოების მიერ გამოგზავნილი საჩუქრები: წიგნები, ქართველ მოღვაწეთა ალბომები, წმ. ნინოს სხვა-დასხვა გვარი სურათები და სხ.

✦ ბევრი ძლიერ დაინტერესებულია გაიგოს, რა ტიპის სასწავლებლად უნდა გადაკეთდეს ეხლანდელი სათავად-აზნაურო სკოლა, ექნება რამე უფლება, თუ არა და სხ. ამიტომ საჭიროა მოკლე ცნობა მაინც მივაწოდოთ საზოგადოებას ამ საკითხის შესახებ. სასწავლებელი იქმნება წოდებრივი—სათავადაზნაურო. სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებს განაგებს ისევ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, პროგიმნაზიულ კლასებს კი თავად-აზნაურობა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, თავად-აზნაურთა საზოგადო კრების მიერ ამორჩეული შვიდის კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი საბჭო, რომელსაც ირჩევენ თავად-აზნაურთაგან სამის წლის ვადით. ეს საბჭო ირჩევს სასწავლებლის ინსპექტორსა და მასწავლებელთ. სასწავლებელს, ანუ სათავად-აზნაურო გიმნაზიას, ექმნება ისეთივე პროგრამა, როგორიც მთავრობის გიმნაზიებსა აქვთ; განსხვავება იქმნება მხოლოდ ის, რომ ქართულს ენას ყველა კლასებში ასწავლიან. სასწავლებელს ინახავს ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკი. მომავალ სამოსწავლო წლიდან სასწავლებელს მოემატება მეხუთე პროგიმნაზიული კლასი და შემდეგ ყოველ წელს თითო კლასი, სანამ სრულ რვა-კლასიან გიმნაზიად გადაკეთდებოდეს. უკანასკნელ კურსზე—მერვე კლასში—მოწაფეების გამოცდის დროს სასწავლებელი იწვევს მთავრობის გიმნაზიების მასწავლებელთ, ანუ ვისაც ოლქის მზრუნველი დანიშნავს. ვინც მთავრობის წარმომადგენელთან ეგზამენს კარგად დაიჭერს, იმას ეძლევა მთავრობის გიმნაზიებში კურსდამთავრებულთა უფლება და შეუძლიან უნივერსიტეტში განაგრძოს სწავლა.

ტფ. საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

21 მაისი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბანკის რწმუნებულთა კრებამ ვერც გუშინ დაამთავრა ზედამხედველ კომიტეტის რეორგანიზაციის პროექტის განხილვა. რადგან პროექტის შემდგენელმა კომისიამ არ ინება თავის მოხსენების დასაბუთება, კრებისათვის ყოველგვარ ცნობისა და მასალის წარდგენა, რწმუნებულები გასაჭირში ჩავარდნენ და კამათის დროს თხოულობდნენ ამა თუ იმ ცნობას, დროს ჰკარგავდნენ ყოველგვარ უბრალო არგუმენტის მოსასმენათა და განსახილველად.

გუშინ თითქმის იგივე გაიმეორეს ორატორებმა, რაც წინად მოიყვანეს პროექტის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ. პროექტის მომხრენი ამბობდნენ: ახლანდელი წესი უფლებასა და შეძლებას არ აძლევს ზედამხედველ კომიტეტს ფაქტიური კანტროლი გაუწიოს ბანკის მოქმედებას; თუ კომიტეტის წევრები გამგეობის სხდომაში მონაწილეობას მიიღებენ და უფლება ექნებათ შეაჩერონ საეჭვო შემთხვევათა დროს სესხის გაცემა, ბანკს ზარალი აღარ ექნება და ახლანდელივით ბევრი მამული გაუყიდავად არ დარჩებაო.

ამის პასუხად პროექტის მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ: ფაქტიურ კანტროლის აღსრულება დღევანდელ წესით არსებულ კომიტეტსაც შეუძლია და სრულიად საჭირო არ არის წესის შეცვლა; დაფასების განხილვის ნება ახლაც აქვს კომიტეტს, საჭიროა მხოლოდ ბანკმა იკისროს ხარჯი, რომელიც კომიტეტის წევრებს მოუვათ დაფასების შემოწმების გამო. ამას გარდა თავ. ი. ჭავჭავაძემ მაგალითები მოიყვანა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ზედამხედველი კომიტეტი ბევრგან იმ წესითაც არსებობს, რომელსაც კომისია გვირჩევს ეხლა, მაგრამ ამ გარემოებამ ის ბანკები ხიფათსა და ზარალს ვერ გადაარჩინაო. უმჯობესია დღევანდელი წესი დავტოვოთ, მხოლოდ მეტი სიფრთხილე ვიხმაროთ დამფასებლების ამორჩევის დროს და ამასთანავე კომიტეტის წევრებს შევაძლებინოთ დაფასების კანტროლი მოახდინონ, რისთვისაც საჭიროა ხარჯი ბანკმა იკისროსო.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა დღეისთვის გადაიდვა.

რუსეთის ქრონიკა

✦ გაზ. „დონსკ. რეჩ“-ში დაბეჭდილია წერილი რკინის გზის სადგურ როსტოვის დარაჯად ნამყოფ რავაშოლისა, რომელიც შეეხება რკინის გზაზე არსებულ წესებს: „პატიოსნურად მოვალეობის ასრულება შეუძლებელიაო,—სწერს რავაშოლი,—საქონელს უკონტროლოდ გზავნიან, რკინის გზის აგენტები მოურიდებლად იღებენ საჩუქრებსა და ქრთამებს საქონლის გამგზავნელთაგანო. რავაშოლს მოჰყავს ბევრი მაგალითი და ახასიათებს რკინის გზის მოხელეთა მოქმედებას. საყურადღებოა წერილის ბოლოში მოყვანილი სიტყვები: ექსპლუატაციის უფროსს ვაცნობე ყველა ესაო; იმან გამოძიება მიანდო კონტროლერ კრიმკოვსკის, რომელმაც მითხრა: „თავი დაანებე ამ საქმეს, საჩუქრები ჩვეულებრივი ამბავია ყველგან, ყველა დაწესებულებაში, და ყურადღების ღირსი არააო“.

✦ ქ. ტომსკის საავადმყოფოში გარდაცვლილა ერთი იაპონელი ქალი ხანდამინცი, რომლის გვამი ბუდისტურ სარწმუნოების წესით ქალაქს გარედ გაუტანიათ და დაუწვავთ.

✦ კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის ყველა განყოფილებათა პირველ კურსზე წელს 320 მოწაფეს მიიღებენ. ინსტიტუტის საბჭოს გადაუწყვეტია მოსპოს საკონკურსო ეგზამენები და შესვლის მსურველთ წილი უყაროს, რის შესახებაც უკვე შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა სამინისტროში. საბჭოს აზრით, უნდა იქნან მიღებულნი მხოლოდ ის პირნი, რომელთაც საშუალო სასწავლებელი წელს დაუსრულებიათ.

✦ ოდესის სამოსამართლო პალატის სესიის განუხილავს საქმე ბოქაულის თანაშემწის ბაჟანოვის შესახებ, რომელსაც ჰბრალდებოდა კიშინევის პოლიცმეისტრის ბრონიკოვსკის შეურაცხყოფა მოქმედებით. ოდესის გაზეთი „ოდესკ. ნოვოსტი“ იუწყება: „საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ პოლიცმეისტერი კადნიერი და თავ-ხედი კაცი ყოფილა; ერთხელ ქუჩაში უნახავს ბაჟანოვი, დაუძახნია, აქ მოდიო და შენობითა და ბრიყვულათ დაუწყია ლაპარაკი: „არ იცი სად არის შენი ადგილი?“ ბაჟანოვს უთქვამს: „როგორ გეკადრებათ, რომ მე, ოფიცრად ნამყოფს, ასე მეპყრობითო“. პოლიცმეისტერს ყვირილი დაუწყია—„გასწი აქედან,

ივერიელი

გაეთრიე, დამითხოვნიხარ სამსახურიდანო!“ ბაჟანოვი ძლიერ აღელვებულა და შემოუკრავს პოლიცმეისტერისთვის. სასამართლომ 4 თვით დაპატიმრება მიუსაჯა ბაჟანოვს.

◆ ფინანსთა სამინისტროს შეუმუშავებია კანონ-პროექტი ქარხნებსა და მთა-მადნებში მომუშავეთა სახელმწიფო დაზღვევის შესახებ. დაზღვევა არა სავალდებულო უნდა იქმნას. დაზღვევის ოპერაციები დაევალება სახელმწიფო შემნახველ კასებს, სადაც შეეძლებათ დააზღვიონ სიცოცხლე არა მარტო მუშებმა, არამედ ქარხნებში მოსამსახურეებმა და ყველა ზემოხსენებულთა ოჯახის წევრებმაც. კასების ოპერაციები შემდეგი იქმნება. დაზღვევა იმ თანხისა, რომელიც კასსამ უნდა გასცეს დაზღვეულ პირის სიკვდილის შემდეგ; იმ თანხისა, რომელიც უნდა მიეცეს დაზღვეულს მაშინ, როცა იგი წინ-და-წინ აღნიშნულ წლოვანებას მიაღწევს, დაზღვევა პენსიებისა, რომელიც უნდა აძლიონ დაზღვეულს სიცოცხლის დროს და სხ. დაზღვეული თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5 ათას მანეთს და პენსია 600 მანეთს.

◆ ციმბირში ცნობილმა სათეატრო ანტრეპრენიორმა იაროსლავცევ-სიბირიაკმა შეადგინა არა ჩვეულებრივი დრამატიული დასი, რომელსაც თეატრი გემზე აქვს გამართული: ამ გემით შემოივლის მდინარე ლენას განაპირა ქალაქებს, სადაც წარმოდგენები უნდა გამართოს.

◆ ადესაში ამას წინად ათონიდან ჩამოსული ერთი ბერი დაუტუსაღებიათ, რომელსაც გემიდან რომ გამოსულა, იქვე მდგარ ვიღაც თავის ნაცნობ კაცისათვის ხელით უნიშნებია, მომიახლოვდიო და ქაღალდში გახვეული რაღაც ნივთი გადაუცია მისთვის. სადამოჟნო მოხელეებმა თვალი მოჰკრეს ბერს, ნივთი კონტრაბანდა ეგონათ და გამოართვეს; როცა გაშალეს, ფული გამოდგა: სულ 120 ათას მანათამდის იყო. ბერი პოლიციაში წაიყვანეს, სადაც იმას უთქვამს პოლიციის ბოქაულისათვის, 10 ათას მანათს შევსწირავ დაჭრილთა სასარგებლოდ, ხერსონის არქიეპისკოპოსთან თუ არ გამამხელო, ამ ჟამად ცნობებს ჰკრეფავენ ამ ბერის შესახებ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება წარუდგენია სახელმწიფო საბჭოსათვის იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქნას კანონი, რომლითაც ებრაელებს აეკრძალათ საზღვრებიდან 50 ვერსის მანძილზე ბინადრობა.

ტფილისის ქალაქის საბჭო

თავმჯდომარეობდა მოურავის მოადგილე თავ. ჩერქეზიშვილი. ვინმე სერგო არუთინოვი და ივანე ოჰანოვი სთხოვდნენ, ნება მოგვეცით ორთაჭალის იქითა ადგილებში დაბღის ქარხანა (ტყავის დასამუშავებელი) გავმართოთო. საბჭომ ამის ნება დართო მთხოვნელთ.

სამაგიეროდ მიხეილ შაფრანოვს უარი უთხრა ზეთის სახდელ ქარხნის გახსნაზე. შაფრანოვს ნიკოლოოზის ხიდის ყურეში, მტკვრის პირად სახლი აქვს —აქ უნდოდა ქარხნის გამართვა, მაგრამ საბჭომ შეუძლებლად იცნო ეს ამისთანა ადგილას, რადგან დიდად შეაწუხებს მჭიდროდ დასახლებულ მეზობლებსაო.

დიდი კამათი გამოიწვია ხორცის დუქნების გამგე კომისიის მოხსენებამ. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ეს კომისია სთხოვდა ქალაქს, კიდევ 25 ათასი მანეთი მოგვეცით, რომ დუქნების წარმოება უკეთესად წავიდეს და ხორცით ვაჭრობა უფრო საიმედოთ შეიქმნესო. ამასთანავე კომისია იმასაც ითხოვდა, რომ ხორცის ხარისხებად დაყოფვა სავალდებულოდ ნუ იქმნება და ნიხრიც მოისპოსო. თუ ეს ორი პირობა არ იქმნება, ამ შემთხვევაში 25 ათას მანეთის თხოვნაზე უარს ვამბობთ და მოკლე ხანში დუქნის გაუქმების შესახებ ცალკე მოხსენებას მოგართმევთო.

ბევრი ილაპარაკეს. ზოგი ცდილობდა დაემტკიცებინა, ხორცის დუქნები ქალაქისათვის ყოველთვის საზარალო იქმნება და უკეთესია, რაც ზარალი ვნახეთ, ის ვიკმაროთო, ზოგი-კი სულ წინააღმდეგს ამტკიცებდა: მართალია, ზარალი არის, მაგრამ ეხლა, როცა საქმე კარგად შევისწავლეთ, არ ვარგა დუქნების გაუქმება, ვაჭრობა უთუოდ განვაგრძოთო. ხორცის ხარისხებად დაყოფვა და ნიხრის დაწესებაც, ბევრის აზრით, ხორცით ვაჭრობას დიდად აფერხებს, ამიტომ ხარისხები და ნიხრიც უნდა მოვსპოთო. ნიხრი მხოლოდ ჩვენ მხარეშია, თორემ რუსეთის შიდა გუბერნიებში არსად არ არის ხორცზე ნიხრი დაწესებული და საქმეც ჩინებულად მიდისო. ჩვენც დროებით ვსცადოთ ესაო.

ნაშუაღამევის პირველი საათის ნახევარი იყო, საბჭომ დაადგინა: მოისპოს ნიხრი და ხორცის ხარისხებად დაყოფვა და დუქნების გამგე კომისიას 25 ათასი მანეთი მიეცეს ამ დუქნებში ვაჭრობის გასაუმჯობესებლადაო.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების კრება

კრებას ცოტა ხალხი დაესწრო. განსახილველი საგნები იყო: 1903 წლის ანგარიში, 1904 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა-და-სხვა მოხსენებანი.

პირველ სხდომაზე მოასწრეს ანგარიშის, ხარჯთ-აღრიცხვის და ერთის მოხსენების განხილვა და დამტკიცება.

საზოგადოებიდან თითქმის მარტო თ. აბხაზი ლაპარაკობდა და მეტ წილად წვრილმანებზე. მთელი კრიტიკა თ. აბხაზისა ბოლოს და ბოლოს ფუჭად უსაფუძვლო გამოდგა, რადგან, როგორც თვითონ ორატორმა განაცხადა, ვერ მოასწრო ანგარიში და გაცნობა (კომიტეტმა გვიან დაბეჭდა ანგარიში და მოხსენებანი). ანგარიშიცა და ხარჯთ-აღრიცხვაც კრებამ ერთხმად დაამტკიცა.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია კომიტეტის მოხსენებამ შესახებ ახალ შენობისა. კომიტეტს უფლება ჰქონდა მიცემული დაეგირავებინა უძრავი ქონება, თუ ამას ახალ შენობის საჭიროება მოითხოვდა. ეხლა ამ უფლების განახლებას თხოულობდნენ. თ. აბხაზი აქაც წინააღმდეგი გაუხდა კომიტეტს. მას მიემხრნენ ბ კობიაშვილი და მ. მაჩაბელი. ბოლოს საქმე კენჭის ყრით გადაწყდა: კომიტეტის მოხსენების წინააღმდეგი მხოლოდ ოთხი აღმოჩნდა. ამით გათავდა კრების პირველი სხდომა.

მოვიყვანთ მოკლედ 1903 წლის ანგარიშის მთავარ მუხლებს.

სათავად-აზნაურო სკოლისათვის კომიტეტს ჰქონია: 78,184 მან. 19 კაპეიკი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრების შემოწირულება. ამას დაუმატა 6,306 მან. 87 კაპ. სკოლის შემოსავლისა. ასე რომ სკოლის შენახვას ამ საანგარიშო წელს გამგე კომიტეტმა მოახმარა 84,491 მ. 6 კ. ამ ფულში გადახდილია გასული წლის ვალი 6,334 მან. 78 კ.

თითო უმაწვილის შენახვა სწავლის მხრით დაჯდა 77 მან. 46 კ. თითო პანსიონერისა კი—237 მან. 32 კ. თითო პანსიონერის შენახვა და სწავლა დაჯდა 314 მან. 78 კ. მაშასადამე ათთუმნიანის პანსიონერის ხარჯს საზოგადოება თავისას უმატებს 214 მან. 78 კ., ოც-თუმნიანისას კიდევ 114 მან. 78 კ.

მეორე საქმე, რომელიც კომიტეტს აბარია, არის სახლი ველიამინოვის ქუჩაზე. სახლი ძალიან კარგია, მშვენიერ ადგილზე აგებული, მაგრამ, სამწუხაროდ, საანგარიშო წელს ძალიან ცოტა შემოსავალი ჰქონია, სულ 488 მან. 65 კ. ბევრად უფრო სამწუხარო მდგომარეობაშია სკრის მამული. არ იქნა და არა ამ მამულის გამობრუნება: საანგარიშო წელს მამულს 4200 მანეთზე მეტი უზარალნია. ასეა სკრის მამულის შეძენიდან. წერა-კითხვის საზოგადოების ფოტოგრაფიის არ იყოს, სკრის მამული გამაღარიბებელია სკოლის საზოგადოებისა და იჯარით მაინც რომ გაიცემოდეს, აჯობებს.

სტიპენდიებისა და სკოლაში მოსწავლე ახალგაზდობისათვის კომიტეტს დაუხარჯავს 3772 მან. და 36.

რაც შეეხება ახალ შენობას, კომიტეტს დაუხარჯავს სულ 290,140 მან- და 2 კ. კომიტეტის წევრის ბ-ნ ცხვეთაძის განცხადებით, შენობის სრულ დამთავრებისათვის საჭირო იქმნება 200,000 მანეთამდე. ორ წელიწადში სკოლა უნდა გადავიდეს ახალ შენობაში.

კრების გაგრძელება კვირისათვის გადაიდვა.

წერილები

ოზურგეთი. 17 მაისს მოხდა ქალაქის მამასახლისისა და იმის თანაშემწის არჩევნები. თავმჯდომარეობდა პ. ა. ბერიძე. კრების დაწყებისას თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა და ურჩია რწმუნებულთ, მუყაითი და მუშა კაცი აარჩიეთ მამასახლისადაო. ილაპარაკა იმის შესახებაც, თუ რა მოვალეობა აწევს ქალაქის მოურავს. შემდეგ ამისა რამდენისამე ხნით კრება შესწყვიტა. მოლაპარაკების შემდეგ ხელ-ახლა დაიწყო კრება. რწმუნებულმა ნიკო თაყაიშვილმა სთქვა: „ბატონებო, ჩვენ ერთ ხმად ვასახელებთ ქალაქის მოურავად აზნ. ვასილ სოფრონის ძე ხუნდაძეს და იმის თანაშემწედ აზნ. ივლიანე ჯაყელს და გთხოვთ, ყუთი დაუდგათო“. კენჭის ჩამოტარების შემდეგ აღმოჩნდა: ვ. ხუნდაძემ მიიღო 9 თეთრი (თავისი შარი არ ჩაუგდია), ივ. ჯაყელმა 10 თეთრი, ამ რიგათ ქალაქის მამასახლისად არჩეულ იქმნა ვასილ სოფრონის ძე ხუნდაძე (ყოფილ ქალაქის მამასახლისის თანაშემწე 1896—1900 წ.) და იმის თანაშემწედ ივლიანე თაყას ძე ჯაყელი (გამგეობის საქმის მწარმოებელი). ახლად არჩეულმა მამასახლისმა განაცხადა: ის 800 მანეთი, რომელიც ხმოსნებმა ქალაქის მოურავის ჯამაგირად დანიშნეს, ქალაქს მოხმარდეს და მე კი ქალაქს ამ ოთხის წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ვემსახურებიო.“ ამ სიტყვამ დიდი მადლობა და სიხარული გამოიწვია ხმოსნებსა და დამსწრეებს შორის. სულ კრებას დაესწრო 10 ხმოსანი. ბ-ნი ხუნდაძე ადგილობრივი პროვიზორია. 1896 წ., როცა ქალაქის დებულებამ მოქმედება დაიწყო ოზურგეთში, იგი თითქმის ერთხმად არჩეულ იქმნა ხმოსნად; შემდეგ 1898 წ. ქალაქის მამასახლისის თანაშემწედ; 1900 წელს არჩეულ იქმნა ისევ თანაშემწედ, მაგრამ უმაღლესმა მთავრობამ არ დაამტკიცა და პასუხის გებაში იქმნა მიცემული თავ. ნიკო თავდგირიძესთან ერთად, მაგრამ 1902 წელს განთავისუფლებულ იქმნა ამ პასუხის გებისაგან და ეხლა ქალაქის მამასახლისად აირჩიეს.

დასჯილი.

ს. შაშიანი (კახეთი). წლეულს არ იქნა და ვერ ველირსეთ გაზაფხულის ბრწყინვალე დღეებს. გადაუღებელი წვიმებია და ამასთან საგრძნობელადაც ცივა. რჩება ვენახები უწამლებელ-უკეთებელი, რასაც, უეჭველია, მოუსავლიობა მოჰყვება. და მაშინ იქმნება ამ ისედაც დაბეჩავებულ ხალხის ქაპან-წყვეტა. ეხლავე იმედ-დაკარგულნი, შეჰყურებენ ცას და ეხვეწებიან ღმერთს, მოწყალის თვალით გადმოჰხედოს... უკუღმართობა თუ იყოს, ყოველის მხრით უნდა იყოს. ცალკე მუდმივ წვიმებია და ცალკე სხვა-და-სხვა ჯურის მოთარეშეთ მკვიდრნი აღარ აახედეს მაღლა. მოსაბეზრებელია ამდენის უწესოების წერა, მაგრამ წესიერება რომ არსად არ მოიპოვება, მაშ რა უნდა დავწერო? ბოროტ-მოქმედნი ყველგან მოიპოვებიან, მაგრამ შაშიანისას-კი ვერ შეედრებიან. აქ ყოველს დღეაა და ღამეს მოურიდებლად დათარეშობენ. ზოგიერთებს აქავე მოვიყვან: მიხეილ რცხილაძეს მოჰპარეს ერთი ცალი ღვინო, ზაქარია ხატიაშვილს ორი ცხენი, გიგო ხადურიძეს ერთი ცხენი, დათიკო დავითნიძეს ერთ ცხენი, სპირიდონ აბელაშვილს დაუწვეს საბძელი, ილია ხოტენაშვილს მოჰპარეს ორი ხარი და ერთი ცხენი, კოლა რცხილაძეს ერთი ხარი. შინაურ ფრინველის ქურდობას ხომ თვლა არა აქვს. მოგეხსენებათ ჩვენი ხალხის ჩვეულება: რომელიმე წმიდანის სახელზე ღვინოს ინახვენ ზედაშეთ 1-10 ჩაფამდის და მეტსაც. ეს ზედაშეები მომეტებულთ ვენახებში აქვთ; და აი ამ ზედაშეებს შეეჩვივნენ ჩვენი ვაჟბატონები, გასინჯავენ, თუ მოეწონათ, სულ ამოჩაფვენ, თუ არა და ცოტას დალევენ და დაანებებენ თავს. 13 მაისს, პატრონის შინ არ ყოფნის დროს, გასტეხეს ერთი სახლი და გაიტანეს, რაც-კი ებადათ, და 100 მან. ფულად, რომელიც მუთაქაში სდებოდათ. ქურდები დაიჭირეს. ვენახში შეეტანათ და ერთი ამხანაგთაგანი ყარაულად დაეტოვებინათ. ამას ზედ მონაპარზე დასძინებოდა. იპოვეს და დაიჭირეს. დაჭერილი, გიგო მირინაშვილი, 18 წლისაა. იგი ყველაფერში გამოტყდა ამხანაგებად დაასახელა: ნიკა ბიწკინაშვილი, გიორგი აბელაშვილი და მიხა გოგიაშვილი. ესენიც დაიჭირეს და გამოძიება სწარმოებს. აქ ვინც რას დაჰკარგავს, საძებნელად-კი არ მიდის, მაშინვე იმის თადარიგს შეუდგება, სად იშოვოს ფული. დადის კარ-და-კარ და სესხულობს ფულს. 10 მანეთში უწერავს 5-6 მ. სარგებელს, რომლის მოშორებას ვერ ეღირსება არა მარტო თვითონ, შვილიც-კი. ეს ფული კი მომპარავს უნდა მისცეს. ეხლა ხალხის სავალალო ის-ღა არის, რომ როგორმე თვითონ უშველოს თავის თავს. ბევრნაირად ჰფიქრობენ, მაგრამ ყველა ჯერ უკან იწევს. როცა იქმნება, მოთმინებიდან გამოვა ხალხი და მაშინ იქმნება ანგარიში ჩვენის ქურდ-ბაცაცებისა.

—ძე.

ს. ველისციხე (კახეთი). ლამის არის ისე გაიაროს მაისმა, რომ წინა თვეებივით ერთი დღე ვერა ვნახოთ მზიანი. ამ თვეშიაც სულ წვიმს და საგრძნობლადაც აცივდა, რის გამო ხვნა-თესვა და ვენახებში მუშაობა შეჩერებულია. არც ვაზის გაკაჭვა (გაფუჭება) არის ჩვენში ნაკლებად გავრცელებული. მაგალითად, ამ ცოტა ხანში ვაზი გაუკაჭეს: დარჩო ისააკოვს, ნასყიდა ბერუაშვილს, ვანო ლალაშვილს, არუთინა ბეჟანოვს, საქულა ტერ-ნერსესოვს, გევლო კოხტაევს, შაქრო დათუაშვილს, იაგორა ოსკინოვს, სანდრო ყვავიაშვილს, იოსება რკინიფერიშვილს, გიგა ბაცანაძეს და სხ. ქურდობა ხომ ჩვენში საძრახისი არ არის.

ველისციხელი

სამეგრელო. წლევანდელი წელიწადი, საზოგადოდ, აქაურებისათვის ვერაფერი წელიწადია. მაისის პირველი რიცხვები ხვნა-თესვის დროა აქეთ, მაგრამ ისეთი გაგვალული იყო მიწა, რომ ხვნა-თესვა შეუძლებელი გაჰხდა. კვლავ ამ დროს აქაურებს თითქმის უმეტესი ნაწილი მიწისა დათესილი ჰქონდათ. ეხლა-კი მუშა გულ-ხელ-დაკრეფილი ცას შეჰყურებს, აბა როდის გველირსება წვიმაო. თუ მაისმა ბოლომდი გვალვები დაიჭირა, თქვენი მტერია, ვერაფერი მოსავლის იმედი ექმნება მხვნელ-მთესველს. დადგა თუ არა გაზაფხული, ავადმყოფობამაც აიდგა ფეხი. სოფლებში უფრო გახშირებულია ყვავილი და წითელა. წითელამ დიდად გააჭირვა საქმე და იერიშით გაილაშქრა პატარა ბავშვებზე, ყვავილმა-კი მოზრდილებზე. სამეგრელოს ზოგიერთს სოფელში ერთგვარმა ავადმყოფობამ ღორებს მუსრი გაავლო. დახოცილ ღორების ლეში ძაღლებმა სჭამეს და არც იმათ დაეყარათ ხეირი. წელს ჩვენმა მეაბრეშუმე ქალებმა კარგად შეიძინეს აბრეშუმის თესლი. თითქმის იშვიათია ისეთი ოჯახი, რომ აბრეშუმის ჭია არ ეჯდეს. ჯერ-ჯერობით გვარიანად მიდის აბრეშუმის ჭიის საქმე.

ტელეფონი.

ახალ-სენაკი. 11 მაისს აქაურ სამრევლო-საეკლესიო ორ-კლასიან სკოლაში გაიმართა სალიტერატურო საღამო. მონაწილეობას იღებდნენ ამავე სკოლის მოსწავლენი. საღამო შესდგებოდა რამდენისამე განყოფილებისაგან და რიგიანად იყო მოწყობილი. სანაქებოდ წაიკითხეს მოსწავლე ქალებმა რუსულ-ქართული ლექსები, რამაც საზოგადოებაში დიდი ვაშას ძახილი გამოიწვია. გალობდა და მღეროდა ისევ ამავე სკოლის მოსწავლე ქალთა ხორო, სამეგრელოს სასულ. სასწავლებლის მასწავლებლის ბ-ნ ვალერიან გეგეჭკორის ლოტბარობით. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ საღამომ ერთობ კარგად ჩაიარა და დიდად ასიამოვნა როგორც მოსწავლენი, ისე დამსწრე საზოგადოებაც. ვეებერთელა სკოლის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დაბრუნდა სკოლიდან. დიდის მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მოთავენი. ეს მეორედ გაიმართა ხსენებულ სკოლაში სალიტერატურო საღამო. საპეტრე-პავლობო დღესასწაულისათვის ახალ-სენაკელები ეხლავე შეუდგნენ თადარიგის მიცემას. წელსაც კვლავინდებურად მარულა (დოღი) გაიმართება. გაიმართება აგრეთვე ქართული წარმოდგენები. მოწვეული იქმნება სამდენისამე დღით მუსიკაც. ერთის სიტყვით, დიდი ფაცა-ფუცია ეხლავ. ეს მეოთხე წელიწადია, რაც აქ იმართება პეტრე-პავლობის იარმუკობა, მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ-ჯერობით ვერ მიიზიდა ხალხი სავაჭროდ. იარმუკობის მაგიერ ნამდვილი ღლეობაა, ადგილობრივი ნაწარმოები იშვიათად მოაქვთ გასასყიდლად. ხალხი-კი, როგორც სამეგრელოდან, ისე სხვა-და-სხვა კუთხიდან აუარებელი იყრის თავს და იმართება „კუჭის“ იარმუკობა.

ტრიფონ კალანდარიშვილი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშა სააგენტოსაგან)

21 მაისი

პეტერბურგი. უმთავრეს შტაბთან შემდგარი კომისია შორეულ აღმოსავლეთიდან ავადმყოფთა და დაჭრილთა მოყვანის შესახებ, რომლის თავმჯდომარედაა გენერალ-ლეიტენანტი პოტოცკი, იუწყება, რომ იმათ, რომელთაც სურთ მიიღონ შორეულ აღმოსავლეთიდან მოყვანილი ავადმყოფნი და დაჭრილნი, უნდა მიმართონ ციმბირის, ყაზანის და მოსკოვის სამხედრო ოლქებში ადგილობრივ საევაკუაციო კომისიების თავმჯდომარეთ ირკუტსკში, ომსკში, ჩელიაბინსკში და მოსკოვში, აგრეთვე პეტერბურგის ოლქში, სადაც ამგვარი კომისიები საჭიროების დაგვარად გაიხსნება. სანამ ეს კომისიები გაიხსნება, მსურველთ უნდა მიჰმართონ პეტერბურგის ოლქის სამხედრო შტაბს. იმპერიის დანარჩენ ადგილებში ავადმყოფთა და დაჭრილთ წაყვანა ჯერ განზრახული არაა, ამის მიუხედავად უმთავრეს შტაბში დაარსებული კომისია მადლობით მიიღებს ყოველ წინადადებას იმათგან, რომელთაც სურთ იმპერიის დანარჩენ ადგილებში მიიღონ ავადმყოფნი და დაჭრილნი სამკურნალოდა და დასასვენებლად.—ყველა წინადადება ავადმყოფთა და დაჭრილთა იმ ადგილებში მიღების შესახებ, რომელნიც აღნიშნულ სამხედრო ოლქებს არ ეკუთვნიან, უნდა გაეგზავნოს უმთავრეს სამხედრო შტაბში არსებულ კომისიას, რომლის ადრესია პეტერბურგი, „ანგლისკაია ნაბერეჟნაია“, № 32. წერილში აღნიშნული უნდა იყოს: 1) რამდენი აფიცერი და სალდათი შეუძლიათ მიიღონ საკუთარ ხარჯზე, 2) რომელ ექიმს დაევალება იმათზე ზედამხედველობა. 3) რამდენად დაშორებულია ადგილი რკინის გზის უახლოეს სადგურისა ან ნავთსადგურისაგან—ირკუტსკის საევაკუაციო კომისიის პირველ რაიონს შეადგენენ ირკუტსკისა და ენისეის გუბერნიები; მეორე რაიონს გუბერნიები—ომსკისა, ტობოლსკის, ტომსკის და ოლქები—აკმოლინსკის და სემიპალატინსკისა; მესამეს—ჩელიაბინსკის, ყაზანის, პერმის, ვიატკის, სიმბირსკის, სამარის, სარატოვის, პენზის, ასტრახანის, ორენბურგის, უფის გუბერნიები და ოლქები—ურალისა და თურქესტანის; მეოთხეს—მოსკოვის, ტვერის, იაროსლავის, ტულის, რიაზანის, ტამბოვის, ორიოლის და ვორონეჟის გუბერნიები. 5) პეტერბურგის სამხედრო ოლქს შეადგენენ გუბერნიები: პეტერბურგის, ნოვგოროდის, პსკოვის, ოლონეცკის, არხანგელსკის, ესტლანდიის და ლიფლიანდიის, რიგის მაზრის გარდა.—რადგან მასმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ, სავაჭრო ზღვაოსნობის და ნავთსადგურების უმთავრესმა გამგემ, აღძრა საკითხი იმის გამო, რომ გაადვილებულ იქნას არსებული წესი ნავთსადგურების იმ გადასახადთა დაბრუნების შესახებ, რომელნიც უწესოდ ან ზედმეტად იყო აღებული და შეტანილი ნავთსადგურების გამგე კომიტეტების სპეციალურ თანხაში, სახელმწიფო კონტროლმა შესაძლოდ სცნო, მიეცეს საბაჟოებს უფლება გადასწყვიტონ ხოლმე აღნიშნული საქმეები საკანტროლო პალატებისაგან დამოუკიდებ-

ლად, იმ შემთხვევაში, როცა დასაბრუნებელი თანხა 50 მანათს არ აღემატება.

სიმფეროპოლი. ომში წავიდა ტავრიდის ლაზარეთი ორასის საწოლით დედოფალ ალექსანდრე თეოდორეს სახელობისა. ლაზარეთი შესდგა გუბერნატორის ტრეპოვის ინიციატივით ერობისა და მთელ გუბერნიის მცხოვრებთა დახმარებით.

მუკდენი. („რეიტ. სააგენტო“). როგორც ეტყობა, გენერალ-ადიუტანტს კუროპატკინს ამ ჟამად შეუძლიან მოქმედებას შეუდგეს და წინ წაიწიოს. ყაზახების მოქმედება ამტკიცებს, რომ რუსები ხაიჩენის სამხრეთით წინსვლის ტაქტიკას შეუდგნენ. პორტ-არტურის მეციხოვნენიც აგრეთვე აქტიურ მოქმედებას იჩენენ. ელიან, რომ ეს ციხე ხანგრძლივ ალყას გამოივლის.

ტიანძინი. („რეიტ. სააგენტო“). ყოველ დღე შეტაკებებია მოწინავე რაზმთა შორის ვაფანდიანი სმახლობლად. ლიაოდუნიდან დაშიცაოში მოვიდა 60 დაჭრილი რუსი. ზოგის ჭრილობა ხმლისაგანაა, რაიცა ცხენოსანთა შეტაკებას ამტკიცებს.

ტიანძინი. („რეიტ. სააგენტო“). პეკინის უმაღლესმა საბჭომ მიჰმართა პეკინში მყოფ რუსეთის ელჩს ნოტით. ამ ნოტაში საბჭო აფრთხილებს რუსეთს, რუსის ჯარმა ნეიტრალურ ოლქებიდან გასვლის დროს არ დააქციონ ის შენობანი, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთ უჭირავთ, რადგან ამ გვარ მოქმედებას შეიძლება თვალ საჩინო შედეგი მოჰყვეს საბჭომ ამასთან გენერალ მა-ს დეპეშა გაუგზავნა და უბრძანა, აცნობოს ეს ამბავი რუსის ყველა აფიცერს.

20 მაისი

ბლაგოვეშჩენსკი. ოლქის სასამართლო შეუდგა განხილვას საყურადღებო საქმისას სავაჭრო სახლის „გრიგოლ კოსიცინი და შვილ“-ის წარმომადგენელ მდიდარ მალაკნების შესახებ, რომელთაც ჰბრალდებათ, რომ განზრახ, დასაზღვევ პრემიის მისაღებად, წაუკიდეს ცეცხლი მდინარე ამურზე მდებარე სტანიცის კუზნეცოვის ახლო გემ „გიდიუს“, რომელზედაც იყო ჩაის საეჭვო ტვირთი, ტყავები და სამანუფაქტურო ნაწარმოები, დაზღვეული 315 ათას მანეთად. გემი დაიწვა, ხალხი-კი გადარჩა. საქმის განხილვა რამდენსამე დღეს გასტანს.

მინსკი. დაიწყო გუბერნატორის თავმჯდომარეობით საგუბერნიო საბჭოს სხდომები საგლეხო კანონმდებლობის განსახილველად.

ბოგუჩარი. 18 მაისს დაიწყო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ გამართული მესამე გამოფენა საქონლის მოშენებისა.

პეტროზავოდსკი. საგუბერნიო საბჭომ გამოსთქვა ის აზრი, რომ ოჯახის პატრონის უფლება, რომელიც შეეხება სახადელო მიწის სარგებლობასა და განკარგულებას, ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახის წევრთა თანხმობით უნდა იქნას შეზღუდული, უნდა დარჩეს წოდებრივი ვოლოსტის სასამართლო, რომელიც მხოლოდ უნდა გაუმჯობესებულ იქნას მსაჯულთა უკეთესის განათლებითა და სასამართლოში საქმის წარმოების დასაჩქარებლად ზომების მიღებით.

ბობრუისკი. დაიწვა ებრაელთა სახელოსნო სკოლა და პანსიონი, რომელშიაც 65 მოწაფე სცხოვრობდა. ზარალი 20 ათასს მანეთზე მეტია.

ლიპეცკი. დაიწყო სეზონი.

მოსკოვი. საერო განათლების მინისტრმა მიიღო სამოსწავლო ოლქისა და სახალხო სკოლების დირექციის მოხელეები და საშუალო სასწავლებლების უფროსები, რომელთაც შემდეგის სიტყვით მიჰმართა: „მოხარული ვარ, რომ გნახეთ აქ, მოსკოვში, რომლის სასწავლებელთა შესახებ ბევრი კარგი რამ გამიგონია. მხოლოდ ზოგიერთი სასწავლებელი დავათვალიერე, რომელთაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. ვიცი, რამდენად სამძიმოა თქვენი შრომა, მაგრამ გიყვართ იგი და ამიტომ არას დროს არ შეუშინდებით. დარწმუნებული ვარ, რომ მძიმე განსაცდელი, რომელიც დღეს დაგვადგა, მალე გაივლის, და იმედი მაქვს, თქვენის ენერგიისა და ამ საქმისადმი სიყვარულის შემწეობით სკოლა განთავისუფლდება იმ მეტ ტვირთისაგან, რომელიც უცხოელმა გავლენამ შესძინა. სიყვარული ყველაფერსა სძლევს. გამოცდილებით ვიცი, რომ ზოგჯერ ერთი მტკიცე სიტყვაა საკმაო, საქმე წესიერ გზას დაადგეს. მთავრობა მზადაა ყოველნაირი დახმარება გაგიწიოთ. იმედი მაქვს თქვენის გამოცდილების და საქმისა და ძვირფას სამშობლოს მიმართ ერთგულებისა“. უნივერსიტეტის სააქტო ზალაში მინისტრს წარუდგნენ პროფესორები და რექტორი. მინისტრმა სთქვა: პროფესორთა შორის ზოგიერთები ჩემი მოწაფეებიაო. აღნიშნა ცხოველმყოფელი კავშირი უნივერსიტეტისა და სხვა სპეციალურ სასწავლებელთა შორის და ის მანვე გავლენა, რომელიც დამკვიდრდა უმაღლესს სასწავლებლებში. მოსკოვის უნივერსიტეტი ყოველთვის იცავდა მოწაფეებს, პროფესორებმა თავისი ჭკუა, გრძნობა და ენერგია მოახმარეს მოსწავლეთა დაცვას ამ მავნე გავლენისა და იმის შედეგისაგანაო. გენერალმა სთქვა, დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტი შემდეგშიაც ასე მოიქცევაო. უნივერსიტეტის წიგნთ-საცავში წარუდგნენ სატეხნიკო სასწავლებლის პროფესორები, რომელთაც გენერალმა უთხრა: „უნდა გადასწყდეს საკითხი სამრეწველო განათლების გაფართოების შესახებ, ხოლო ისე, რომ ამით საზოგადო განათლებას არ ევნოსო“.

სტამბოლი. პორტა შეჰპირდა შეთანხმებულ სახელმწიფოთა ელჩებს, ხვალ ან ზეგ წარმოვადგენ წერილობით განცხადებას მაკედონიის ჟანდარმერიის გადაკეთების საქმის საფინანსო საკითხის გადაწყვეტის შესახებაო.

რადგან ოსმალეთი შეუდგა თავისის ფლოტის რეორგანიზაციას და ახალ სამხედრო გემებს იძენს, ინგლისმა საზღვაო აგენტის თანამდებობა დააწესა თავის საელჩოსთან სტამბოლში.

ლისსაბონი. ესპანიამ და პორტუგალიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სადავო საქმეთა სამედიატორო სამართლით გადაწყვეტის შესახებ. შეთანხმება შედგენილია ჰააგის კონვენციის მე-19 პარაგრაფის მიხედვით.

მოსკოვი. დღეს, გლინკას დაბადებიდან 100 წლის თავზე, კონსერვატორიაში სადღესასწაულო პანაშვიდი გადაიხადეს. დაესწრნენ პროფესორები, სტუდენტები და განსვენებულის კომპოზიტორის თაყვანისმცემელნი.

დამნაშავეთა გამასწორებელ დაწესებულებების წარმომადგენელთა კრებამ მოისმინა ბევრი მოხსენება ამ დაწესებულებათა მდგომარეობის შესახებ პროვინციაში. ხვალ დიდის ამბით გახსნიან დამნაშავეთა გამასწორებელ ადგილობრივ თავშესაფარს.

21 მაისი

პარიზი. რუსეთის მთავრობის მოთხოვნილების თანახმად, დაპატიმრებულ იქმნა რუსეთის ქვეშევრდომი დომინიკე ლიაზოვსკი, რომელსაც ჰბრალდება მოსკოვის სამრეწველო საზოგადოების 60,000 მანეთის მოპარვა.

პარიზი. როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, ნუნციო ლორენცელლი არ დასწრებია დარბაზობას, რომელიც დელკასესთან გაიმართა. არც საფრანგეთის მისიის საქმეების გამგე ვატიკანში დადის კარდინალთან.

სოფია. აქაურმა სამხედრო სასამართლომ მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარედ ნამყოფს, მწერალ-დეპუტატს, პროფესორს სტოიან მიხაილოვსკის მიუსაჯა შვიდის თვით დაპატიმრება მთავრის სახელის შეურაცხყოფისათვის და აგრეთვე იმისთვის, რომ გაზეთის შემწეობით მთავარს ცილი დასწამა. სასამართლომ შეაჩერა განაჩენის სისრულეში მოყვანა.

რიაზანი. ხელმწიფე იმპერატორმა, რიაზანში ყოფნის სახსოვრად, უმოწყალესად კეთილ ინება და 3000 მანეთი შესწირა რიაზანის ღარიბ მცხოვრებთათვის დასარიგებლად.

პეტროზავოდსკი. საგუბერნიო ბჭობამ სასურველად სცნო, ვოლოსტის სასამართლოებს ნება მიეცეთ ზოგიერთ შემთხვევაში იხელმძღვანელონ გლეხთა შორის არსებულ ჩვეულება-ადადებით.

პეტერბურგის ბირჟა, 18 მაისი

ვექსილის კურსი 13 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,95	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,95	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,40	
ლონდონისაზე ჩეკები	94,55	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	91	
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	88	გაყ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	376½	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	297	
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	260	
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	187	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში

ი. „გოკიელოვის შვილები“-ს

სავაჭრო სახლში იყიდება საუკეთესო ღირსების.
შაბიამანი ნამდვილ ინგლისური
გოგირდის ყვავილი „სუბლემა“
მანქანა ვენახის სარწყავი „ვერმორელი“
მანქანები გოგირდის საბერავი.
რაფია ვენახის საკონავი.
აგრეთვე ვერმორელის მანქანის ყველა ნაწილები ცალ-ცალკე. ([illegible]6—142—9)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურ[illegible]ო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, [illegible]ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკ[illegible]სკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჰიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჰიქა არაყით, ½-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.

(88—52—27)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოპრანიის ახლოს. (წ.—176—22)

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხ.-სამკ. აკადემ. პრივ.-დოც. პ. თ. ფედოროვისა, თარგმ. კბილის ექ. ი. პ. ახალშენიშვილისა. **ისყიდება:** „ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ.“ და „წიგნ. გამომც. ქართ. ამხ.“ წიგნის მაღაზიასა და კიოსკში და მთარგმნელთან (ელისაბედის ქ., № 38). ვინც ნაღდ ფულად 100 ცალზე არა ნაკლებს დაიბარებს, 40%-დაეთმობა. წიგნაკს დართული აქვს 7 ნახატი (ორი ფერადი), შეიცავს 124 გვ. და ღირს 40 კაპ.

(0—6.—10)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოს[illegible]

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნაღდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—16) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—6.—31)